საია აცხადებს კონკურსს ვიზუალური მასალის დამზადებაზე

საია აცხადებს კონკურსს ვიზუალური მასალის დამზადებაზე:

საია იწვევს გრაფიკოსებსა და გეოგრაფიული რუკის შედგენის სპეციალისტებს ვიზუალური მასალის შესაქმნელად კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის მოკლე აღწერა:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: *„კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება“* ერთ-ერთი მიზანია მიგრაციის სფეროში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

დავალების მოკლე აღწერა:

პროექტის ფარგლებში არჩეულმა გრაფიკოსმა უნდა შექმნას შემდეგი ვიზუალური მასალა:

- 20-30 სხვადასხვა სირთულის გრაფიკული გამოსახულების შექმნა (დიზაინი სხვადასხვა მასალისთვის: პოსტერები, ბანერები, სახელმძღვანელოები, და ა.შ.);

პროექტის ფარგლებში არჩეულმა რუკის შედგენის სპეციალისტმა უნდა შექმნას შემდეგი ვიზუალური მასალა:

- 30-მდე სხვადასხვა რუკა, რომელიც ასახავს რაოდენობრივ-სივრცით ინფორმაციას, წინასწარ უზრუნველყოფილი რაოდენობრივი მონაცემების შესაბამისად.

შერჩევის კრიტერიუმი:

კონკურსში მონაწილე პირმა/კომპანიამ უნდა წარმოაჩინონ მათი გამოცდილება და უნარ-ჩვევები და დაასაბუთონ, თუ რატომ შეძლებენ ყველაზე კარგად აღნიშნული დავალების შესრულებას.

კონკურსში მონაწილეობის კრიტერიუმია:

- წარსულში მსგავსი პროდუქციის შექმნის გამოცდილება;
- გუნდურად და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- ინოვაციური ხედვა.

ვადები:

პროექტის სავარაუდო განრიგი შემდეგია:

1	ვიზუალური მასალის შექმნა	1 დეკემბერი, 2016 – 1 თებერვალი, 2017
2	ტესტირება ფოკუს ჯგუფებში, დასრულება	1-28 თებერვალი, 2017
3	მასალის გავრცელება	1 მარტი - 1 ივლისი, 2017

ანაზღაურება:

ანაზღაურება მთლიანი დავალებისათვის:

- გრაფიკოსი - 800 ევრო მთლიანი დავალებისთვის (დასაბეგრი);

- რუკის შედგენის სპეციალისტი - 1200 ევრო მთლიანი დავალებისთვის (დასაბეგრი).

კონკურსის პირობები:

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა/კომპანიამ 2016 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

- დეტალური რეზიუმე/პორტფოლიო;

- წინა ნამუშევრების ლინკები/ასლები;

- 2 რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია;

საკონტაქტო ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თეონა მაჭარაშვილს: macharashvili@gyla.ge

ტელეფონი - 577 07 05 94.